ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5105865

ნომერი: AR1774299

თარიღი : 15.09.2020

გაცემის თარიღი : 16.09.2020

გაცნობის თარიღი : 16.09.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N6, მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N6დ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზი ესიავა პ/ნ 02001003670
- თბილისი. კრწანისის რაიონი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა # 36

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  დემონტაჟი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2020 წლის 15 სექტემბრის AR1774299 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N6, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N6დ-ში არსებული კედლის დემონტაჟის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 2015 წლის 04 მარტის № 1759741 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), სანაპიროს ქ. N6დ–ში, მოქ. მოქ. ვლადიმერ დუნდუასა და ლევან მგალობლიშვილის საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული ავტოსამრეცხაოს რეკონსტრუქციისა და დამოუკიდებელი აირსავსები საკომპრესორო სადგურის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი; გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა; აღნიშნული პროექტი შესრულებულია „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც აუცილებელია რ/ზ დამცავი კედლის განთავსება - მინიმალური მანძილები ავტოგასამართ კომპლექსსა და სხვა ობიექტებს შორის: ქალაქისა და დასახლებული პუნქტების საავტომობილო გზა (სავალი ნაწილის კიდემდე) არის 12 მ; ეს მანძილი შბა-ის (შეკუმშული ბუნებრივი აირი) ტექნოლოგიური მოწყობილობიდან დასაშვებია შემცირებულ იქნეს არა უმეტეს 50 %-ით, თუ არსებობს რკინაბეტონის ერთიანი 15 სმ სისქის და არანაკლებ 2,5 მ სიმაღლის დამცავი კედელი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან თქვენ მიერ მოთხოვნილი სადემონტაჟო „ღობე“ წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ დამცავ კედელს, სამსახური თქვენ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.